



მუშათა და ზღვისთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისარათა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. ივნისი 10.

№ 11

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

68. სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქეთა სარჩევნო უფლების თაობაზე ცნობების მიღების წესის შესახებ.

მრეწველობა.

69. საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.
70. საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილების I კარის მე-4 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

მშენებლობა.

71. საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგემო კომისიასთან სამშენებლო სამუშაოთა ტენიკურ-ეკონომიური და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებთაშორის თათბირის მოწყობის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

72. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 96 მუხლის შეცვლის შესახებ.
73. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების შესახებ.

74. ხარისა და კანეჩის დაკვლის აკრძალვის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

75. ხისა და ქილობ-ზამბილოვანი ტარას შესახებ.
76. ოთხფეხი საქონლის ფარულად დამკვლევლებისა და ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების ვაჭრობის აღმომჩენთა დაპრემირების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

77. კომუნალური მომსახურეობის ანგარიშების განაღდების წესისა და ვადის შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

78. ფარმაცო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.
დებულება ფარმაცო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის შესახებ.
79. მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
80. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან არსებული

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების გაუქმების შესახებ.

81. ომის ინვალიდთა, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოების მოწყობის შესახებ.

83. სისხლის სამართლის კოდექსის 136^ა-ს, 136^ბ-ბ და 136^გ-გ მუხლების დამატების შესახებ.

84. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136^ა მუხლის დამატების შესახებ.

85. სისხლის სამართლის კოდექსის 200¹ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სისხლის სამართალი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

82. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136^ა, 136^ბ და 134^ა მუხლების დამატების შესახებ.

86. საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებისათვის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის და მე-19 მუხლის დამატების შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა

68. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო ორგანოების მიერ მოქალაქეთა საარჩევნო უფლების თაობაზე ცნობების მიღების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აეკრძალოს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რა შემთხვევაშიც უნდა იყოს, მოქალაქეთაგან ხელისუფლების ორგანოების მოწმობისათუ ცნობის წარდგენის მოთხოვნა, რომ მათ საბჭოთა საარჩევნო უფლება აქვთ.

2. საჭირო შემთხვევაში (სასწავლებელში შესვლა, შრომის ორგანოების მიერ აღნუსხვაზე აყვანა, სამუშაოზე შესვლა, კოოპერატიულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში შესვლა და სხვა მისთ.) დაწესებულება და ორგანიზაცია ჩამოართმევს მოქალაქეს ხელწერილს, რომ მას აქვს საბჭოთა საარჩევნო უფლება, და გაათხოვნილებს მას პასუხისმგებლობის თაობაზე ტყუილი ცნობის მიცემისათვის საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210 მუხლისამებრ.

შენიშვნა. უკეთუ აღიძვრის ეკვი შემოაღნიშნული წესით მიცემული ცნობის სისწორეზე, დაწესებულება და ორგანიზაცია შეეკითხება ხელისუფლების სათანადო ორგანოს.

3. წინადადება მიეცეს რესპუბლიკის პროკურორის დაამყაროს მტკიცე წესი ყველა იმ პირის პასუხისმგებაში მიცემისათვის სასამართლო წესით სისხლის სამართლის კოდექსის შემოაღნიშნული მუხლისამებრ, ვინც დაწესებულებას და ორგანიზაციას მისცემს ტყუილ ცნობას, რომ მას საარჩევნო უფლება აქვს.

4. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო და სასოფლო საბჭოებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ყველა სახალხო კომისარიატს და უწყებებს—გააუქმონ ყველა ის განკარგულება, რაც ამა დადგენი-

ლებას ეწინააღმდეგება, და იხმარონ ღონისძიება, რათა გაუქმებულ იქნეს ქვემდებარე ორგანოების ასეთივე განკარგულებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა

69. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ა.ს.

საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მძიმე, მსუბუქი და ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატების მოწყობის შესახებ“ გამოცემული 1932 წ. იანვრის 5-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1932 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4) და „სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის მოწყობის შესახებ“ გამოცემული 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. № 22, მუხ. 134; „სსრკ ცენ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 88 №, 1932 წ. მარტის 29-ის) შესაბამისად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო რეორგანიზებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატად, რომლის გამგებლობაშიაც დატოვებულ იქნეს შემდეგი ტრესტები რესპუბლიკანური მნიშვნელობისა, ცალკეული საწარმოები და სასწავლებლები:

- ა) აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი;
- ბ) საფეიქრო მრეწველობის ტრესტი;
- გ) ჭრა-კერვის მრეწველობის ტრესტი;
- დ) ტყავ-ფეხსაცმლის ტრესტი;
- ე) პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტი;
- ვ) სამუსიკო ინსტრუმენტების ფაბრიკა;
- ზ) ტფილისისა და ქუთაისის აბრეშუმის მრეწველობის ტექნიკუმები.

2. გადაცემულ იქნეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში, ამ კომისარიატის რწმუნებულის (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) გამგებლობისათვის მიკუთვნებით, —სსრკ-ის

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის მმართველობის მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების მე-3 და 4 მუხლებში გათვალისწინებულ საფუძვლებზე,— შემდეგი ტრესტები, ცალკეული საწარმონი და სასწავლებლები, რაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს უშუალო გამგებლობაში იყო:

- ა) ჭიათურის შავი-ქვის ტრესტი;
- ბ) ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობის სამმართველო;
- გ) ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ტრესტი;
- დ) საშენი მასალისა და არასამადნო წიაღისეულთა ტრესტი;
- ე) ძირითადი ქიმიური მრეწველობის კომბინატი („ქიმიკომბინატი“);
- ვ) უმაღლესი სასწავლებლები: ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტი და სამშენებლო ინსტიტუტი;

ზ) ტეხნიკუმები: ტფილისის მე-2, ინდუსტრიალური, მექანიკური და საქიმო, ქუთაისის სამთო და ინდუსტრიალური, ჭიათურის სამთო, ფოთის მექანიკური, თელავის, სტალინისის (ხაშურის), სტალინირის (ცხინვალის), ბათუმის და სოხუმის სამშენებლო და ხანისა და აგრეთვე სათანადო სპეციალობის მუშათა ფაკულტეტები.

3. დროებით, ვიდრე საკითხი სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული, 1932 წლის მარტის 27-ის დადგენილების მე-7 მუხლის წესისამებრ გადაწყდებოდეს, ტრესტები: ა) სამრეწველო მშენებლობის პროექტირებისა და ბ) სამრეწველო მშენებლობის და საამისო საბინაო მშენებლობის წარმოებისა გადაიცეს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (რომელიც იმყოფება საქართველო სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) გამგებლობაში.

ეს ტრესტები განაგრძობენ ამავე დროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მისი სისტემის საჭიროებათა მომსახურებას სამრეწველო მშენებლობისა და საამისო საბინაო მშენებლობის პროექტირებისა და წარმოების სფეროში.

4. ადგილობრივი მრეწველობის ყველა საწარმო, რომელიც სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და საქალაქო საბჭოს ექვემდებარება, რჩება სათანადო ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში.

ადგილობრივი მრეწველობის ყველა დარგის დაგეგმვისა და მოწესრიგების ფუნქციებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ანხორციელებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი.

5. ვიდრე გადაწყდებოდეს საკითხი „სარეწაო კოოპერაციის საორგანიზაციო მშენებლობის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 26-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1932 წ. მე-14 №-ი, მუხ. 74) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განხორციელების წესის შესახებ,

შინამრეწველობისა და ყოველი სახის სარეწაო კოოპერაციის (მათ შორის სატყეო, ხის დამუშავებისა და საქამადო) დაგეგმვის და მოწესრიგების ფუნქციები თავმოყრილ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატში, რისთვისაც მის აპარატში მოეწყოს სათანადო სექტორი.

შენიშვნა. სარეწაო კოოპერაციის იმ ნაწილის დაგეგმვას, რაც სატყეო და ხის დამუშავების მრეწველობას შეადგენს, აწარმოებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი, სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (რომელიც იმყოფება ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) შეთანხმებით, ხოლო საქამადო მრეწველობის დაგეგმვას—საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სარეწაო კოოპერაციის მუშაობასა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ერთიან გეგმას შორის საერთო კავშირს და საუწყებათაშორისო სადაო საკითხების გადაწყვეტას ანხორციელებს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციისა და შინამრეწველობის კომიტეტი.

6. ვიდრე სსრკ-ისა და ა/კფსრ-ის კანონმდებლობის წესით გადაწყდებოდეს საკითხი საშენი მასალის დამგეგმავი და გამანაწილებელი ორგანოების შესახებ, აღნიშნული ფუნქციები საქართველოს სსრ-ში დაეკისროს მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) და გადაეცეს მას სათანადო სამომარაგებლო ორგანო („საქმარაგავაქრობა“).

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს კადრები განაწილებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის წრმუნებულის (რომელიც იმყოფება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს შორის ზემოაღნიშნული ფუნქციების განაწილების შესაბამისად და კანონით დადგენილი წესისამებრ დამტკიცებული ამ ორგანოების სტრუქტურისა და შტატების თანახმად.

II.

მიენდოს აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მოახდინონ ზემოაღნიშნული საერთო-საკავშირო კანონებისა და ამა დადგენილების შესაბამისად მრეწველობის თავიანთი ორგანოების რეორგანიზაცია.

ამ რესპუბლიკებსა და ოლქში მოსაწყობი მსუბუქი მრეწველობის ორგანოები, ექვემდებარებიან რა სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, არიან იმავე დროს ადგილობრივი ორგანოები საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატისა, რომელიც მათ მიმართ მოქმედობს

იმ საფუძვლებზე, რაც დადგენილია საქართველოს სსრ გაერთიანებული სახალხო კომისარიატებისათვის.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ორგანოები ამ რესპუბლიკებსა და ოლქში არ მოეწყობა.

III.

წინადადება მიეცეს: ა) საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების პროექტი; ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას— შეიმუშაოს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატთან და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსთან ერთად, პროექტი დადგენილებისა საქართველოს სსრ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა შესახებ, რაც გამომდინარეობს ზემოაღნიშნული საერთო-საკავშირო კანონებიდან და ამა დადგენილებიდან, და ორი დღის ვადაზე ეს პროექტი წარუდგინოს საქართველოს სსრ საკანონმდებლო ორგანოებს; გ) მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს და მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს—კუთვნილებისამებრ— შეიტანონ ორი თვის ვადაზე მათ გამგებლობაში გადასულ ტრესტთა, საწარმოთა და სასწავლებელთა წესდებებსა და დებულებებში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 89 №-ში 1932 წ. აპრილის 16.

70. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილების I-ლი კარის მე-4 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ-ში მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის აპრილის 13-ის დადგენილების (სსრ კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 69; გაზ. „კომუნისტი“ № 89, 1932 წ. აპრილის 16-ისა, I კარის მე-4 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. ადგილობრივი მნიშვნელობის საქამადო მრეწველობის და გეგმვას და მოწესრიგებას ანხორციელებს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდიენის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 17.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 107 №-ში 1932 წ. მაისის 9.

მ უ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

71. დადგინილება ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან სამუშაოებლო სამუშაოთა ტექნიკურ ეკონომიური და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის მოწყობის შესახებ.

სამუშაოებლო სამუშაოების ნორმირების საკითხებისათვის ერთიანი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის გაწვევისა და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოო და სატარიფო ნორმირებისა და შეფასების მთელი მუშაობის გაერთიანების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან მოწყობილ იქნეს საწარმოებლო სამუშაოთა ტექნიკურ-ეკონომიური და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირი, რომელიც იმოქმედებს სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისიის კაპიტალურ სამუშაოთა სექტორთან იმავე საკითხებისათვის არსებული სრულიად საკავშირო მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის დირექტივების მიხედვით და საერთო ხელმძღვანელობით.

ზემოაღნიშნული მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის თავმჯდომარე არის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის ის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს კაპიტალურ სამუშაოთა სექტორს. თათბირის წევრები არიან: საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის კაპიტალურ სამუშაოთა სექტორისა, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საგეგმო ორგანოებისა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, შიმარაგების, მიწათმოქმედების და შრომის სახალხო კომისარიატებისა, მძიმე მრეწველობისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა საქართველოს სსრ-ში, გზათა და წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატების რწმუნებულებისა ა/კსფსრ-ში, საქართველოს სსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს, საქართველოს წყალთა

მეურნეობის სამმართველოს, საქართველოს სსრ მთავარი საკურორტო სამმართველოს, ტფილისის საქალაქო საბჭოს, საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის მუდმივი წარმომადგენელი.

თათბირის მუშაობაში ჩაიბმებიან აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მწარმოებელი საერთო-საკავშირო, საამიერკავკასიო და რესპუბლიკანური ორგანიზაციების წარმომადგენლები და ცალკეული მუშა-აქტივისტები, რომელთაც აქვთ გამოცდილება ნორმირების საკითხებში.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სამშენებლო სამუშაოთა ტექნიკურ ეკონომიური და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირი მოქმედებს თანახმად სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ 1932 წ. მარტის 3-ის თარიღისა და 43 №-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა „ტექნიკურ-ეკონომიური (საწარმო) და სატარიფო ნორმირების მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირების შესახებ“ და მას აქვს ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებანი.

3. ზემოაღნიშნული მუდმივი საუწყებათაშორისო თათბირის მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები მიეკუთვნება სამშენებლო ხარჯთაღრიცხვებში „საკვლევეო-სარაციონალიზატორო სამუშაოების“ შესახები მუხლით გათვალისწინებულ თანხებს, თანახმად შრომისა და თავდაცვის საბჭოს სამშენებლო კომისიის მიერ „მშენებლობის ხარჯების ნომენკლატურის, გამოანგარიშების და აღნუსხვის წესისა და რაოდენობის შესახებ“ გამოცემული 1930 წ. თებერვლის 4-ის დადგენილების მე-17 §-ის „დ“ პუნქტისა (სსრკ კან. კრ. მე-II განყ., № 4, მუხ. 19).

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მშენებლობის მწარმოებელი განსაზოგადოებული სექტორის ყველა ორგანიზაცია მოვალეა გადარიცხოს ზემოაღნიშნული საჭიროების დასაკმაყოფილებლად მისი სამშენებლო ხარჯთაღრიცხვით საკვლევეო-სარაციონალიზატორო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული თანხების 10%.

აღნიშნული თანხები შეადგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სპეციალურ სახსარს; ეს თანხები შედის ამ კომისიის განკარგულებაში და ინახება და იხარჯება თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილებისა „სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 141) და განსაკუთრებული ინტრუქციისა, რასაც გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმთან შეთანხმებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომანია.

1932 წ. აპრილის 4.

ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

72. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 96 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 96 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„96. იმ პირს, რომელსაც ქალაქში აქვს შენობიანი თუ უშენობო მიწა, დაეტოვება შრომითი სარგებლობისათვის იმ ფართობის ვარდა, რაც შენობას უჭირავს, აგრეთვე:

	ცენტრალურ რაიონში	შუა რაიონში	განაპირა რაიონში
ტფილისსა და ბათუმში	900 კვ. მეტრი	1.400 კვ. მეტრი	1.400-დან 2.000 კვ. მეტრამდე.
სოხუმსა და ფოთში	900 „ „	1.800 „ „	2.700 კვ. მეტრი.
ქუთაისში	1.400 „ „		
მე-2 კატეგორიის ქალაქებში	900-1800 კვ. მეტრი		ასეთივე ნორმა, როგორც დაწესებულია მომიჯნავე სოფლებისათვის ამა კოდექსის 61-64 მუხ. თანახმად.
მე-3 კატეგორიის ქალაქებში	4.000 კვ. მეტრი		

უკეთეს ერთ და იმავე პირს აქვს რამდენიმე შენობიანი მიწის ნაკვეთი, რამდენ ქალაქშიაც და რამდენი ნაკვეთიც უნდა ჰქონდეს, მთლად ამ ქალაქებში ამ ნაკვეთებიდან დაეტოვება მას შრომითი სარგებლობისათვის არა უმეტეს ერთი ნორმისა.

უკეთეს ერთ და იმავე პირს აქვს პირველი კატეგორიის ქალაქებში შენობიანი და უშენობო მიწის ნაკვეთები, უშენობო ნაკვეთები გადადის საქალაქო მიწის ფონდში ივისდამიუხედავად, აღემატება თუ არა ფართობი დადგენილ ნორმას. უკეთეს ამ ქალაქებში ერთ და იმავე პირს აქვს რამდენიმე უშენობო მიწის ნაკვეთი, მას დაეტოვება მარტო ერთი ნაკვეთი ნორმის ფარგლებში, ხოლო იმ პირობით, რომ იგი გაშენებული იქნება სათანადო საქალაქო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაზე“.

2. მიწის კოდექსის 96 მუხლის 1-ლი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა.** უკეთუ მიწათმოწყობის ჩატარების დროს უშენობა კვეთი დაფარულია მშენებ ნარგავებით, იგი დატოვებულ უნდა იქნეს მისი აღნაგობის პირობის გარეშეც“.

3. მიწის კოდექსის 96 მუხლის მე-2 შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალოზლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. მარტის 23.

ტფილისი.

73. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების შესახებ.

I.

მიუხედავად საქართველოს სსრ სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების საქმეში არსებული მნიშვნელოვანი წარმატებებისა (საბჭოთა მეურნეობებში 1931 წელს, 1930 წელთან შედარებით, ოთხფეხი საქონლის რაოდენობის გადიდება—მსხვილი რქოსანი საქონლისა 10.854-ით, ცხვრისა—67.411-ით, ღორისა—6.824-ით და მეცხოველეობის საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების ქსელის გაფართოება: მარტის 1-სათვის მერძეობის სასაქონლო ფერმების ხაზით იყო 200 ფერმა 19.000 სული მსხვილი რქოსანი საქონლით, მეღორეობის სასაქონლო ფერმების ხაზით—120, 9.600 სული ღორით, მეცხვარეობის სასაქონლო ფერმების ხაზით—130, 107.500 სული ცხვარით და სხვ.), მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ოთხფეხი საქონლის საერთო რაოდენობა საქართველოში შემცირდა.

ეს შემცირება შედეგია წარსულში ძველი ხელმძღვანელობის მიერ გლეხობის საკითხში ჩადენილი უხეში შეცდომებისა; აღნიშნული გარემოება უნდა აიხსნას აგრეთვე იმით, რომ ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები დღემდე მეცხოველეობის განვითარების მნიშვნელობის ოპორტუნისტულ შეუფასებლობას იჩენენ.

საბჭოთა მეურნეობებში და მეცხოველეობის საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმებში ოთხფეხი საქონლის რაოდენობის შედარებით თვალსაჩინო ზრდა მაინც არ შეიძლება ისეთ წარმატებად ჩაითვალოს, რაც უზრუნველჰყოფს 1931 წლის საწარმოო დავალებათა შესრულებას როგორც ჯოგის შევსებისა, ისე სახელმწიფოსათვის სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების საქმეში; სახელმწიფოსათვის სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების გეგმა შესრულებულია კარაქის ტრესტის ხაზით სულ 69⁰/₀-ით, ხოლო მეღორეობის ხაზით—30⁰/₀-ით.

ამ დავალებების შეუსრულებლობა იმის შედეგია, რომ:

ა) საბჭოთა მეურნეობების შენაერთების ზოგიერთი ხელმძღვანელი („სეინოვოდის“ ამიერკავკასიის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელობა) და მთელი რიგი მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების დირექტორები უყარათოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მეცხოველეობის საქმეს;

ბ) მოუწესრიგებელია წარმოების პროცესები, სამეურნეო ანგარიში და სანარდო სისტემა; სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი ოთხფეხი საქონლის მოვლა და ზოოტექნიკური და ვეტერინარული მომსახურება; დიდი რაოდენობის საქონელი გაწყდა ეპიზოოტიისაგან;

გ) სწარმოებს სასაქონლო პროდუქციის გაბნევა და თვითმომარაგება;

დ) სრულიად არადაამაკმაყოფილებელია შრომის ორგანიზაცია და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმის დაყენება;

ე) ჩაშლილ იქნა მშენებლობის გეგმა 1931 წელს და 1932 წლის 1-ლ კვარტალში როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების ხაზით;

ვ) არ ხორციელდება მასიური საორგანიზაციო ღონისძიებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სოციალისტური მეცხოველეობის გაშლის შესახებ მოცემული დირექტივების შესასრულებლად; ფართო საკოლმეურნეო მასებმა არ იციან სარგებლიანობა და ყველა უპირატესობა საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმისა, როგორც საკოლმეურნეო-სასაქონლო მეცხოველეობის განვითარების ძირითადი ფორმისა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევენ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს უზრუნველჰყონ ნამდვილი გარდატეხა მეცხოველეობის განვითარების საქმეში, რისთვისაც რადიკალურად უნდა გამოსწორდეს გლეხობის საკითხში ჩადენილი შეცდომები, საბოლოოდ აღმოიფხვრას მეცხოველეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ოპორტუნისტული შეუფასებლობა და სწორად მოეწყოს წარმოების პროცესები საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის დადგენილებების და ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე.

II.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი სრულიად არადაამაკმაყოფილებლად სცნობენ საქართველოს სსრ-ში კარაქტრესტის ამიერკავკასიის განყოფილების და, განსაკუთრებით, „სეინოვოდის“ ამიერკავკასიის განყოფილების მუშაობას (საქართველოში წარმოებულ საქმიანობის ხაზით) და ადგენენ:

ა) მოწონებულ იქნეს გეგმეთის საბჭოთა მეურნეობების დირექტორის კანთარისა, ჩერნომორის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის—ანდლულაძის და იალონის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის—ესართიას სამუშაოდან გადაყენება და მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრა;

ბ) დასმულ იქნეს სათანადო ორგანოების წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ მოიხსნან მუშაობიდან, როგორც თავისი დანიშნულებისათვის შეუფერებელი, შემდეგი საბჭოთა მეურნეობების დირექტორები: გეგეთის—ცეკვავა, ყარაბულახის—ბაღდასაროვი, ბაშკიჩეთის—გორაჩენკო, შირაქის—სენინაშვილი (დირექტორის მოადგილე).

წინადადება მიეცეს საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად, 5 დღის ვადაზე დაასახელოს კანდიდატები რესპუბლიკანური მასშტაბის მომუშავეთაგან საბჭოთა მეურნეობების მოხსნილი ხელმძღვანელების ნაცვლად და აგრეთვე გადაისინჯოს საბჭოთა მეურნეობების მთელი პირადი შედგენილობა აპარატის უფრო ძლიერი მომუშავეებით განპოტყელების მიზნით.

III.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. ოთხფეხი საქონლის რიცხვი 1932 წელს გადიდებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით: კარაქტრესტის საბჭოთა მეურნეობებში—მსხვილფეხა რქოსანი საქონელი 9.680 სულამდე, მათ შორის ძროხა—5.660 სულამდე; მეღორეობის ტრესტის ხაზით—ლორი 9.240 სულამდე, მათ შორის დედა-ლორი—2.310 სულამდე; სამტრესტის ხაზით—მსხვილფეხა რქოსანი საქონელი—1.580 სულამდე, მათ შორის ძროხა—940 სულამდე; საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—ცხვარი—137.740 სულამდე.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის 1932 წლის მარტის 31-ის დადგენილების შესაბამისად დაწესებულ იქნეს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების შემდეგი ზღვრული მოცულობა:

მსხვილფეხა რქოსანი საქონელი	1.000 სული ძროხა;
ლორი	400 „ დედა-ლორი;
ცხვარი	50.000 „ მქისებეწვიანი ცხვარი;
საჯიშე ცხვარი	10.000 სული.

ამისდამიხედვით საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ა) კარაქტრესტის ხაზით—ბოგდანოვის საბჭოთა მეურნეობა გადაკეთდეს ორ საბჭოთა მეურნეობად, ხოლო ბაშკიჩეთის და ყარაბულახის საბჭოთა მეურნეობები—სამ საბჭოთა მეურნეობად;

ბ) მელორეობის ხაზით—თელავის საბჭოთა მეურნეობა გადაკეთდეს ორ საბჭოთა მეურნეობად, და მოხდეს ლიკვიდაცია „იალონის“ და „ალბულახის“ საბჭოთა მეურნეობებისა, რომელთაც შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ბაზა არ მიეპოებათ;

გ) საქართველოს საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ხაზით—საბჭოთა მეურნეობა „უდაბნოს“ ჯიშიანი მეცხვარეობის მეურნეობა გამოიყოს დამოუკიდებელ საბჭოთა მეურნეობად.

3. შეწყდეს „სვინოვოდტრესტის“ როგორც ძველი, ისე ახალი საბჭოთა მეურნეობების შევსება „ზაგოტსკოტ“-ის ხარჯით. შეწყდეს საქართველოს მეცხოველეობის კოოპერატიული მეურნეობის მსხვილფეხა რქოსანი საქონლით შევსება „ზაგოტსკოტ“-ის ხარჯით.

4. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთების დირექტორებს შეიმუშაონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ სამანქანო-სატრაქტორო ბაზებისა, მემინდვრეობის ორგანიზაციებისა და საკვებით მომარაგების მმართველობა და აგრეთვე ფერმების მთელი მუშაობის კონტროლის მმართველობა თავმოყრილ იქნეს საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებში.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საბჭოთა მეურნეობების შენაერთებთან ერთად, დაამთავროს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაცია არა უგვიანეს 1932 წლის აგვისტოს თვისა.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს უზრუნველყოინ სათანადო შენობებით და ნაგებობით ოთხფეხი საქონლის მთელი რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებში და არა უგვიანეს 1932 წლის ნოემბრისა დაამთავრონ მშენებლობა:

კარაქტრესტის ხაზით	9.679	სულის საქონლის მოსათავსებელი ადგილისა;
მელორეობის ტრესტის ხაზით . . .	9.240	სული ღორის მოსათავსებელი ადგილისა;
სახალხო მეურნეობათა ტრესტის ხაზით	1.580	მსხვილი ოთხფეხი საქონლის და 137.740 სული ცხვრის მოსათავსებელი ადგილისა.

მშენებლობის გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებულ იქნეს 1933 წლის 1-ლ კვარტალში მიღებული მონაშენის უზრუნველყოფა.

მშენებლობის პროგრამის თავის დროზე შესრულების მიზნით მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალა.

დაევალოს საქსოულმშენს ადგილობრივი საშენი მასალის დამზადების კალენდარული გეგმა დასეას განსახილველად რაიონებში.

პასუხისმგებლობა მშენებლობის გეგმის თავის დროზე შესრულებისათვის დაეკისროს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და აგრეთვე „საქსოფლმშენისა“ და საბჭოთა მეურნეობების შენაერთების მმართველებს.

7. საბჭოთა მეურნეობების შენაერთების სასაქონლო პროდუქციის ჩაბარების გეგმა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

„კარაქტრესტისა“—რძე 63.604 ცენტ., ხორცი — 3.238 ცენტ.
მელორეობის ტრესტისა 4.485 ”

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა—რძე 8.300 ცენტ., მატყლი—297 ტონა და ხორცი 3,935 ცენტ.

8. რადგანაც საბჭოთა მეურნეობების მუშაობის მოუგვარებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მასიური კვალიფიკაციის კადრების არყოფნაა, დაუყოვნებელ ამოცანად იქნეს მიჩნეული სათანადო ღონისძიებათა განხორციელება მოკლევადიან კურსებზე შემდეგი კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის:

- ა) „კარაქტრესტისათვის“: საქონლის მომვლელი—190 კაცი, მეხბოე—135 კაცი, მწველელი—290, სანიტარი—30 კაცი;
- ბ) მელორეობის ტრესტისათვის: მელორე—160 კაცი, ვეტფერშალი—40 კაცი, მელორეობის ტექნიკოსი—40 კაცი;
- გ) საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების ტრესტისათვის: მეცხვარე—450 კაცი, საქონლის მომვლელი—150 კაცი, მეკარაქე და მეყველე—30 კაცი, მწველელი—120.

მიენდოს საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს ამ კადრების მომზადება და გარდამზადება დაამთავრონ არა უგვიანეს 1932 წ. ივლისისა.

9. მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მუშებისა, მოსამსახურეებისა და სპეციალისტების მომარაგების გაუმჯობესების მიზნით წინადადება მიეცეს „ცეკავშირს“—მოაწყოს განსაკუთრებული სექციის უფლებებზე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების სამომხმარებლო კოოპერაცია.

IV.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

- 1. დავალებები მეცხოველეობის საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმების დაკომპლექტებისათვის 1932 წ. განისაზღვროს შემდეგი ციფრებით:
 - მერძევეობის სასაქონლო ფერმებისა—26.000 სულით, აქედან ძროხა—13.000 სული;
 - ნორჩი საქონლის საზრდელი ფერმებისა—11.000 სულით;
 - მელორეობის სასაქონლო ფერმებისა—33.000 სულით, აქედან დედალორი—12.600 სული;
 - მეცხვარეობის სასაქონლო ფერმებისა—160.000 სულით;
 - მეფრინველეობის სასაქონლო ფერმებისა—100.000 ფრთა ფრინველით;

მეცხენეობის სასაქონლო ფერმებისა—531 სულით;

მეფუტკრეობის სასაქონლო ფერმებისა—14.000 სკით.

2. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წ. მარტის 26-ის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევიან გადაკრით აღიკვეთოს ყოველგვარი ცდა ოთხფეხი საქონლის იძულებით განსაზოგადოებისათვის და ავალეზენ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საკოლმეურნეო ცენტრს და ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს—იხმარონ ყველა ღონისძიება საკოლმეურნეო ფერმების შემდგომი გაფართოებისა და განვითარებისათვის ამ ფერმების მიერ მხოლოდ ნორჩი საქონლის გაზრდით ან იმ ოთხფეხი საქონლის შესყიდვით, რაც კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაშია და აგრეთვე არაგანსაზოგადოებულ მეურნეობათა ხელშია.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევიან—წარმოებულ იქნეს უღმობელი ბრძოლა კულაკების იმ ხრიკების წინააღმდეგ, რაც მიმართულია საკოლმეურნეო ფერმების ნებაყოფლობით განსაზოგადოებული ოთხფეხი საქონლის დატაცებისათვის.

3. მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და საკოლმეურნეო ცენტრს გაითვალისწინონ და განახორციელონ ღონისძიებანი კოლმეურნეებისათვის დახმარების გასაწევად კოლმეურნის მიერ ძროხისა, წვრილფეხა საქონლისა და ფრინველის შესაძენად პირადად გამოყენების მიზნით.

4. წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო ცენტრს—უზრუნველჰყოს სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის იმ დირექტივის განხორციელება, რომ „მეცხოველეობის საუკეთესო საკოლმეურნეო ფერმების გამოცდილებაზე ფართოდ იქნეს გავრცელებული ბრიგადაში მომუშავე კოლმეურნეების მიერ ცხოველთა განსაზღვრული ჯგუფისათვის მომსახურეობის გაწევის პრაქტიკა ისე, რომ მეცხოველეობის ბრიგადას და მასში შემავალ კოლმეურნეებს სასყიდელი ეძლეოდეთ მათი მუშაობის შედეგების მიხედვით (მოწველილი რძის რაოდენობა, ნორჩი საქონლის წონის მატება, მონაშენის რაოდენობა და სხვ.)“.

5. წინადადება მიეცეს საკოლმეურნეო ცენტრს და მეცხოველეობის სპეციალური საკოლმეურნეო ცენტრების ხელმძღვანელთ, მათი პერსონალური პასუხისმგებლობით, უზრუნველჰყონ მშენებლობა:

მერძევეზების საკოლმეურნეო ცენტრისათვის—26.000 ოთხფეხი საქონლის მოსათავსებელი ადგილებისა და 11.000 ხბოს მოსათავსებელი ადგილებისა;

მეცხეარეობის საკოლმეურნეო ცენტრისათვის—160.000 ცხვრის მოსათავსებელი ადგილებისა;

მელორეობის საკოლმეურნეო ცენტრისათვის—33.000 ღორის მოსათავსებელი ადგილებისა;

მეცხენეობის საკოლმეურნეო ცენტრისათვის—531 ცხენის მოსათავსებელი ადგილებისა;

მეფორინველეობის საკოლმეურნეო ცენტრისათვის 100.000 ფრთა ფრინველის მოსათავსებელი ადგილებისა.

წინადადება მიეცეს „საქოლმეურნეო“ და მეცხოველეობის სპეციალურ საკოლმეურნეო ცენტრებს—შეიმუშაონ ერთი დეკადის ვადაზე რაიონებში ადგილობრივი საშენი მასალის დამზადების საკალენდრო გეგმები ისეთი ვარაუდით, რომ მშენებლობა დამთავრებულ იქნეს არა უგვიანეს 1932 წლის ნოემბრისა.

6. ვინაიდან საკოლმეურნეო-სასაქონლო ფერმების საორგანიზაციო-სამეურნეო სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კადრების უყოლობაა, წინადადება მიეცეს სპეციალურ საკოლმეურნეო ცენტრებს—მოამზადონ და გარდაამზადონ არა უგვიანეს 1932 წლის ივლისისა კურსების მოწყობით:

მერძევეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით—200 ფერმის გამგე, 300 საქონლის მომვლელი, 400 მწველელი, 80 ვეტსანიტარი;

მელორეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით—104 ფერმის გამგე, 350 მელორე, 80 ვეტსანიტარი;

მეცხვარეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით—120 ფერმის გამგე, 250 მეცხვარე, 140 ვეტსანიტარი;

მეფორინველეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით—90 ფერმის გამგე, 90 ვეტსანიტარი, 170 მეფორინველე და მეწიწილე;

მეცხენეობის საკოლმეურნეო ცენტრის ხაზით—20 ვეტსანიტარი.

წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოაწყოს ტფილისში დასილოსებისა და ხელოვნური განაყოფიერების კურსები 120 კაცი-სათვის.

დაევალოს საკოლმეურნეო ცენტრებს—ჩაატარონ დასილოსების საქმის ბრიგადირების მომზადების ორგანიზაცია ხუთდღიან კურსებზე—900 კაცი-სათვის.

მიენდოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საკადრო განყოფილებას და სარაიონო კომიტეტებს თვალყური ადევნონ ამა დადგენილების აღსრულებას და კურსებზე აღნუსხვის საქმის სათანადოდ დაყენებას.

7. დაევალოს „ცეკავშირს“—გამოძყოს საკოლმეურნეო ცენტრის განკარგულებაში სამრეწველო საქონლის განსაკუთრებული ფონდები იმ კოლმეურნე-მწველელთა, საქონლის მომვლელთა და მისთ. დასაპრემირებლად, რომელთაც ფერმებში კარგი მუშაობით თავი იჩინეს.

8. წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, საბჭოთა მეურნეობების შენაერთებს და საკოლმეურნეო ცენტრებს მიაღწიონ შემდეგ დავალებათა შესრულებას:

ა) სოციალისტური მეცხოველეობის საკვები ბაზისის გაფართოებას ბალახთა თესვისა, ბალახმინდვროვანი თესლბრუნვისა და სასილოსე მშენებლობის შთანერგვით;

ბ) თივის აღების ორგანიზაციას;

გ) ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების რაციონალურად დანაწილებას საძოვრების გამოყენებაში გაუპიროვნების ლიკვიდაციის საფუძველზე და საძოვრების გაუმჯობესებას სათანადო ღონისძიებათა ჩატარებით (მელიორაცია);

დ) საბჭოთა მეურნეობებისა და საკოლმეურნეო ფერმებისათვის ზოომომსახურეობისა და ვეტმომსახურეობის ორგანიზაციას და მასიური კვალიფიკაციის კადრების მომზადებას.

აღინიშნოს პროკურატურის სრული უმოქმედობა ოთხფეხი საქონლის დაუზოგველად დაკვლისა და გაბნევის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და წინააღმდეგ მიეცეს რესპუბლიკის პროკურორს—მოახსენოს 10 დღის ვადაზე სახალხო კომისართა საბჭოს ის ღონისძიებანი, რასაც იგი ხმარობს ოთხფეხი საქონლის დაუზოგველად დაკვლისა და გაბნევის წინააღმდეგ.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგალოზლივიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1932 წ. აპრილის 15.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 91 №-ში 1932 წ. აპრილის 18.

74. დადგენილება ც.ა.პ. და ს.კ.ს.

ხარისა და კამეჩის დაკვლის აკრძალვის შესახებ.

„ცხენის დაკვლის აკრძალვისა და ცხენის უკანონოდ დაკვლის და დაუზოგველი ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 71 №-ი, მუხ. 474) დასამატებლად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. აიკრძალოს ისეთი ხარის და კამეჩის დაკვლა, რომელიც ვარგა სამუშაოდ ან სანაშენოდ, აგრეთვე მოზარდთა დაკვლა, გარდა აშკარად წუნდადებულია.

2. დაკვლისათვის თვითეთუ ცალკე შემთხვევაში საჭიროა სავეტერინარო ზედამხედველობის ნებართვა, რაც შეიძლება გაიცეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ცხოველი სამეურნეო და საჯიშედ სრულიად უვარგისია.

3. ხარისა და კამეჩის უკანონოდ დაკვლა გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხლების მიხედვით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგალოზლივიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრაია.

1932 წ. მარტის 23.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება

75. დადგენილება ს.კ.ს.

ხისა და ქილოზ-ზამბილოვანი ტარას შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციების ტარათი მომარაგების საქმის გაუმჯობესებისათვის შინაგანი რესურსების მობილიზაციით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ საწარმოს და ორგანიზაციას—დააბრუნოს ხოლმე მთლად მის მიერ მიღებული ხისა და ქილოზ-ზამბილოვანი ტარა შემდეგი წესით:

ა) მთლად ხის ტარა, რაც იხმარება ინვენტარ-ტარას სახით და დასაშლელ-შესაკერელ ტარას სახით, დაებრუნება უშუალოდ იმ საწარმოს, რომლისგანაც იგია მიღებული ან, ამ საწარმოს მინიშნებით, სხვა საწარმოს;

ბ) ხის ყველა სხვა სახის ტარა (ინვენტარ-ტარას და დასაშლელ-შესაკერელ ტარას გარდა) ჩაბარდება: კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ—„საქკოოპტრანს“-ის სარემონტო ბაზისს, ხოლო სხვა ორგანიზაციის მიერ—„სოიუზტარა“-ს სარემონტო ბაზისს;

გ) ქილოზ-ზამბილოვანი ტარა, რაც რემონტს საჭიროებს, და აგრეთვე ხრალეული ნაგლეჯეულობა (უტილი) ჩაბარდება სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული კავშირის ქილოზ-ზამბილოვან სარემონტო ბაზისს.

შენიშვნა. უკეთუ ამა თუ იმ ქალაქში „საქკოოპტრანს“-ის და „სოიუზტარა“-ს სარემონტო ბაზისი არ არსებობს, ტარა გადაეგზავნება სათანადო უახლოეს სარემონტო ბაზისს: კოოპერატიული ორგანიზაციის მიერ—„საქკოოპტრანს“-ის მინიშნებით, ხოლო სხვა ორგანიზაციის მიერ—„სოიუზტარა“-ს მინიშნებით.

2. ტარას და არმატურის ჩაბარების ვადა განისაზღვრება: იმ ქალაქისათვის, სადაც სარემონტო ბაზისი არსებობს, სამი დღით, ხოლო სხვა ადგილებისათვის—ხუთი დღით ტარას დაცლის დღიდან.

3. დაევალოს ყველა იმ ორგანიზაციას, რომელიც ტარას სარემონტო ბაზისს აბარებს, დასდევას სათანადო ხელშეკრულება არა უგვიანეს 1932 წლის მაისის 1-ისა.

4. დაევალოს საწარმოთ (მალაზია, საწყობი, სასადილო და სხვა მისთ.) გაუფრთხილდნენ ტარას, დააბრუნონ ბაზისებზე გაუსერელი, იქონიონ სათანადო ინსტრუმენტები ტარას გასახსნელად და თავიდან აიცილონ შესაძლებლობა ტარას გაფუჭებისა შენახვის, გახსნის, დატვირთვის, გადმოტვირთვის და გადაზიდვის დროს.

შენიშვნა. „სოიუზტარა“ და „საქკოოპტრანსი“ მოვალენი არიან უზრუნველყოფონ ორგანიზაციები ტარას გასახსნელად საჭირო სათანადო სპეციალური ინსტრუმენტებით.

5. დაევალოს იმ საწარმოთ და ორგანიზაციათ, რომელნიც ტარას რემონტს აწარმოებენ, დაამთავრონ ხოლმე რემონტი არა უგვიანეს 7 დღისა ტარას მიღების მომენტიდან და, რემონტის დათავრებისას, ჩააბარონ ტარა თავიანთ კონტრაგენტებს არა უგვიანეს სამი დღისა.

6. ანგარიშის გასწორება ტარას ჩაბარებულ და მიმღებ ორგანიზაციებს შორის სწარმოებს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული ფასთა კომიტეტის დადგენილებისა, მის მიერ დამტკიცებული ტარას ფასების პრეისკურანტისა და სსრკ-ის მომარაგების სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის შესაბამისად.

7. დაევალოს ყველა საწარმოს და ორგანიზაციას—შემოიღოს როგორც ახალი, ისე ნახშირი ხისა და ქილობ-ზამბილოვანი ტარას აღნუსხვა.

8. წინადადება მიეცეს იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთ, რომელნიც იღებენ ზემოაღნიშნულ ტარას და აბარებენ სარემონტო ბაზისებს, გამოჰყონ 5 დღის ვადაზე ტარასათვის პასუხისმგებელი პირნი, რომელთაც დააკისრონ პერსონალური პასუხისმგებლობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის.

9. მიენდოს „სოიუზტარა“-ს ა/კ. განყოფილებას, „საქკოპტრანსთან“, „საქვაპრობასთან“ და „საქკვებასთან“ ერთად, პროფესიონალური ორგანიზაციების მონაწილეობით, დაამყაროს პრემიალური ფონდების შექმნის წესი და შეიმუშაოს დახლის მომუშავეთა და მალაზიების და საწყობების გამგეთა დაპრემირების მეთოდი ტარას სიფრთხილით ხმარებისა და თავის დროზე ჩაბარებისათვის ისეთი სახით, რომ იგი შემდეგშია ც სახმარეალად გამოდგეს.

10. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი პასუხს აგებს სადისციპლინო წესით, ხოლო უკეთეს ასეთ დარღვევას სისტემატიური და ბოროტული ხასიათი აქვს, იგი მიცემულ უნდა იქნეს პასუგისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

11. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს და აგრეთვე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს დაამყარონ სისტემატიური მეთვალყურეობა ამა დადგენილების აღსრულებისათვის, რისთვისაც რეგულარულად შეამოწმონ ხოლმე საქონლის განტარებელი ქსელის მიერ ტარას ჩაბარება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომანია.

1932 წ. აპრილის 4.

ტფილისი.

76. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ოთხფეხი საქონლის ფარულად დამკველეებისა და ფარულად დაკლული საქონლის პროდუქტების ვაჭრობის აღმომჩენთა დაპრემირების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

იმ პირს, რომელიც აღმოაჩენს ოთხფეხი საქონლის ფარულად დაკვლას ან გაყიდვის მიზნით საქონლის დაკვლას სასაქლაოს გარეშე თუ სავეტერინარო და სასანიტარო-საჰიგიენო ზედამხედველობის წესების დარღვევით, აგრეთვე აღმოაჩენს ასევე დაკლული საქონლის პროდუქტების ვაჭრობას (სისხლის სამართლის კოდექსის 200¹ მუხ.), მიეცემა პრემია გადახდევინებული ჯარიმისა და კონფისკებული პროდუქტების ღირებულების ან დასაკვლელად განმზადებული საქონლის ღირებულების 50%-ის რაოდენობით მტკიცე დასამზადებელი ფასების შესაბამისად.

სრ. საქ. ც. ა. კ. ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტორიშელიძე.

სრ. საქ. ც. ა. კ. ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 96 №-ში 1932 წ. აპრილის 24.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა

77. დადგენილება ს.კ.ს.

კომუნალური მომსახურეობის ანგარიშების განაღდების წესისა და ვადის შესახებ.

საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის გაყიდვის რეგულირებისა და ამ საწარმოთა და მათი პროდუქციის მომხმარებელთა შორის, სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების შესაბამისად, ანგარიშგასწორების მოწესრიგებისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას—საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ მეურნეობათა პროდუქცია ხარჯოს იმ სახსართა ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია მისი სამრეწველო-საფინანსო გეგმით და ხარჯთაღრიცხვით კომუნალური მომსახურეობისათვის; თანაც ამ მომსახურეობისათვის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაწეული ზედმეტი ხარჯი და არ უნდა მოხდეს დევალიანება.

2. დაევალოს ყველა რესპუბლიკანურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს, როგორც სამეურნეო ანგარიშზე, ისე სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფს, აგრეთვე ყველა კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანი-

ზაციას და ინდივიდუალურ მომხმარებელს—გაანადღოს საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთა (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური და სხვ.) ანგარიშები მათგან მიწოდებული პროდუქციისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე, ხოლო უკეთეს ხელშეკრულება არ არსებობს, არა უგვიანეს ხუთი დღისა ანგარიშის წარდგენის დღიდან.

3. დაევალოს საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ საწარმოთ (წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროსადგური, განმანაწილებელი ქსელის სამმართველო და სხვ.) დასდევან არა უგვიანეს 1932 წ. მაისის 1-ისა ყველა იმ დაწესებულებასა და საწარმოსთან, რომელიც მათ პროდუქციას იყენებს საწარმოო მიზნით, აგრეთვე პროდუქციის დიდრონ მომხმარებლებთან ხელშეკრულებები, რომლებშიაც აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს პროდუქციის მოხმარების ნორმები, ტარიფები, გადასახადის ვადები, საურავი და სხვა მისთ.

4. უფლება მიეცეს საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ მეურნეობათ, უკეთეს სასყიდელი სინათლისათვის გადახდილი არ იქნა ამა დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებულ ვადაზე, შეუჩერონ ყველა დაწესებულებას, საწარმოს, ორგანიზაციას და კერძო პირს, რომელმაც ანგარიში არ გაანაღდა, პროდუქციის მიწოდება, გარდა ისეთი დაწესებულებისა, რომლისათვისაც, მისი მუშაობის პირობების მიხედვით, პროდუქციის მიწოდების შეწყვეტა თუნდ დროებითაც შეუძლებელია (საავადმყოფო, ყაზარმა, შრომა-გასწორების დაწესებულება და სხვა მისთ.).

5. საზოგადოებრივი სარგებლობის კომუნალურ მეურნეობათა ანგარიშების განაღდების ვადის გადაცილებისათვის დაწესებულ იქნეს საურავი, რაც დაირიცხება ამა დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული ვადის გასვლისას ვადა-გადაცილებული თანხის 0,25%-ის რაოდენობით დღეში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აპრილის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 88 №-ში 1932 წ. აპრილის 15.

სოციალურ-კულტურული წყობილება

78. დადგენილება ს.კ.ს.

ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევეო ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემოთდევნი დებულება ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევეო ინსტიტუტის შესახებ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. აპრილის 23.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის შესახებ.

1. ფარმაკო-ქიმიური სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია და მას აქვს ყველა ის უფლება და უპირატესობა, რაც ეკუთვნით სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათ.

2. ინსტიტუტის ამოცანებს შეადგენს:

ა) გამოიკვლიოს უკვე ცნობილი საწამლეულო ნედლეულობა, ფარმაკო-ქიმიური მრეწველობისათვის, აწარმოოს ძიებლობა ახალი სახის ნედლეულობისა და შეიმუშაოს საკითხები მისი გამოყენების შესახებ;

ბ) დაამუშაოს მეთოდები მინერალთა, მცენარეთა და ცხოველთაგან ფარმაცევტიული პრეპარატების მისაღებად და სინთეტიური ხერხი საწამლეულო საშუალებათა საწარმოებლად;

გ) აწარმოოს პრეპარატების მომზადებისათვის არსებული მეთოდების კრიტიკა დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით და დაამუშაოს ამ მეთოდის დახმარებით უფრო ადვილი ხერხი პრეპარატების მომზადებისათვის;

დ) დაამუშაოს და გააზუსტოს მეთოდები ფარმაკო-ქიმიური და ფარმაკო-ბოტანიკური ანალიზების სფეროში;

ე) შეიმუშაოს საკითხები, რაც დაკავშირებულია საწამლეულო ნარევათა ფარმაკო-ქიმიურ შეუთავსებლობასთან, და შეისწავლოს ყველა ის საკითხი, რასაც უშუალო კავშირი აქვს საერთოდ ფარმაციასთან;

ვ) მოამზადოს და სრულპყოს მეცნიერულად კადრები.

3. ზემოაღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად ინსტიტუტთან არსებობს სათანადო განყოფილებები.

ამ განყოფილებათა რაოდენობა, სტრუქტურა და შტატი დამტკიცებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ.

4. ინსტიტუტის სათავეში სდგას დირექტორი, რომელსაც დანიშნავს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეებს და თანამშრომლებს მიიწვევს დირექტორი და დაამტკიცებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარი.

5. ინსტიტუტთან არსებობს სამეცნიერო საბჭო ინსტიტუტის დირექტორის თავმჯდომარეობით; საბჭოს შედგენილობაში შედიან ინსტიტუტის განყოფილებათა გამგეები და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, რესპუბლიკანური სააფთიაქო სამმართველოს და სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტიული ფაკულტეტის წარმომადგენლები. სამეცნიერო საბჭოს მოქმედება რეგულირდება ჯანმრთელობის სახალხო კომისარის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.



შენიშვნა. სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს ამა თუ იმ სამეცნიერო საკითხის განხილვის დროს მიიწვიოს მცოდნე პირნი.

6. ინსტიტუტს უფლება აქვს:

ა) გამოსცეს სამეცნიერო ხასიათის შრომები ამ საკითხისათვის არსებული საერთო წესების დაცვით;

ბ) გამართოს კარ-ღია სხდომები ინსტიტუტის საკვლევო სამუშაოთა შედეგების გამოსაქვეყნებლად;

გ) მიიღოს მონაწილეობა სპეციალურ ყრილობებში;

დ) მოაწყოს არსებული წესისამებრ თავისი თანამშრომლების წარვლინებანი სამეცნიერო მიზნით როგორც სსრკ-ის სხვადასხვა ქალაქში, ისე საზღვარგარედ.

7. ინსტიტუტთან არსებ უბს ბიბლიოთეკა და მუზეუმი.

8. ინსტიტუტი ინახება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვით.

შენიშვნა. ინსტიტუტის სახსარი შეიძლება გაძლიერებულ იქნეს სხვა ფონდებით და დოტაციებით, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დასაფინანსებლად არსებული წესების თანახმად.

9. ინსტიტუტს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

79. დადგენილება ს.კ.ს.

მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 9-ის დადგენილებისა (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 59 №-ი, მუხ. 382) და ა/კფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 7-ის დადგენილების (ა/კფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 222) შესაბამისად ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს—დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების (დახურული და ღია) სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, პირველ ყოვლისა სამრეწველო ცენტრებში, ახალი მშენებლობის ადგილებში და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რაიონებში, ბამბისა,

ჩაისა, თამბაქოს და სხვა ტექნიკური კულტურების დანმუშავებელ საბჭოთაურ ნებეზში, კოლექტიურ მეურნეობებში და სხვა მისთ.).

2. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს—შექმნას 1932 წ. განმავლობაში ჯანმრთელობის ორგანოების სისტემაში სპეციალური სასანიტარო ინსპექცია მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობისათვის ზედამხედველობის გასაწევად და ვალდებულპყოს სასანიტარო ინსპექტორები იქონიონ ყოველდღიური სისტემატიური მეთვალყურეობა აღნიშნული რაიონებისა, დაბებისა, საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობისათვის, თანაც აძლიონ დამნაშავენი კანონით დადგენილ პასუხისგებაში სასანიტარო წესების დარღვევისათვის.

ჯანმრთელობის ორგანოების სასანიტარო ინსპექციისათვის დახმარების გასაწევად და ხელშესაწყობად მუშათა რაიონების და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების სანიტარული მდგომარეობის ზედამხედველობის საქმეში დაარსებულ იქნეს ინსტიტუტი საზოგადოებრივი სასანიტარო ინსპექტურისა, რომელიც უნდა მოეწყოს საარჩევნო პრინციპების მიხედვით მუშა-აქტივისტთაგან საწარმოთა მუშების საერთო კრებებზე.

ამ ინსტიტუტის მოწყობისა და მისთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით.

3. უფლება მიეცეს სასანიტარო ზედამხედველობის ინსპექტორებს—დაადვან ვისაც ჯერ არს საადმინისტრაციო წესით მუშათა რაიონებისა და დაბებისა, მუშათა საერთო საცხოვრებლებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებების ანტისანიტარული მდგომარეობისათვის ჯარიმა 100 მანეთამდე, ადმინისტრატიულ გადასახდელთა დებულებაში გათვალისწინებული წესის მიხედვით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 207).

4. წინადადება მიეცეს განსაზოგადოებელი სექტორის ყველა დაწესებულებას და ორგანიზაციას, ჯანმრთელობის ორგანოებთან და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელოს „სანიტარული მინიმუმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1931 წ. თებერვლის 5-ის დადგენილების საფუძველზე (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 86), სანიტარული მინიმუმი მუშათა რაიონებში და დაბებში, მუშათა საერთო საცხოვრებლებში და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უნდა დაამუშაოს დეტალურად თვითეული ობიექტისათვის ცალკე სანიტარული მინიმუმი და აგრეთვე

ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს ამ მინიმუმის განხორციელებას.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტოროშელიძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი რ. შომახია.

1932 წ. მარტის 23.

ტფილისი.

80. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტების გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებთან არსებული მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტები და 1930 წ. სექტემბრის 8-ს დამტკიცებული დებულება ამ კომიტეტების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-17 №-ი, მუხ. 270).

2. კომიტეტების ლიკვიდაცია უნდა მოხდეს ისე, რომ მუშაობა მშრომელ ქალთა შორის შესუსტებულ არ იქნეს, რისთვისაც:

ა) კომიტეტების მთელი მუშაობა განაწილებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სექტორებსა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების განყოფილებებს (ინსპექტორებს) შორის და დატოვებულ იქნეს მათთან საყოფაცხოვრებო სექციები;

ბ) კომიტეტების ყველა განთავისუფლებული მომუშავე მიმაგრებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებზე და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებზე (საქალაქო საბჭოებზე) საერთო სამუშაოზე გადაყვანილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 22.

ტფილისი.

81. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოების მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს კომიტეტი (კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 11) გადაკეთებულ იქნენ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებულ ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოებად.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული საზოგადოება საზოგადოებრივი ორგანიზაციაა; მის ამოცანას შეადგენს მოახდინოს საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია და სახსრის მოპოება ომის ინვალიდებისა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებული წითელარმიელებისა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის დახმარების გასაწევად.

3. პირველ მუხლში აღნიშნული საზოგადოება იმყოფება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში; საზოგადოებას ჰყავს მმართველობის საარჩევნო ორგანოები.

4. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე საქართველოს საზოგადოების წესდება შემუშავებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ, დანტერესებულ უწყებათა მონაწილეობით და დამტკიცებულ იმავე კომისარიატის მიერ საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

5. თავის მუშაობას დახმარების გაწვევისათვის ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოება ანხორციელებს ცენტრსა და ადგილებზე სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებისა და ინვალიდთა კოოპერაციის ორგანიზაციების მეშვეობით.

6. ყველა ის უფლება, შეღავათი და უპირატესობა, რაც მომკმედი კანონმდებლობით მინიჭებული აქვთ ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს, ენარჩუნება 1-ლ მუხლში აღნიშნულ საზოგადოებას.

7. წინადადება მიეცეს ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ ბილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტს და მის ადგილობრივ ორგანოებს გადასცენ ორი თვის ვადაზე საწარმონი, საქმეები და ფულადი სახსარი საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს ცენტრში და სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ ორგანოებს ადგილებზე შემდგომ ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და ავადმყოფობის გამო დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე სრულიად საქართველოს საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანოებისათვის გადასაცემად.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 22.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

82. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136², 136³ და 136⁴ მუხლების დამატების შესახებ.

„ცხენების დაკვლის აკრძალვის და ცხენების უკანონო დაკვლისა და დაუზოგველი ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1931 წ. № 71, მუხ. 474; სსრკ. ცენტრ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 1931 წ. 340 №-ი), და სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136², 136³ და 136⁴ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„136². ინდივიდუალური მეურნეობის კუთვნილი ცხენის უკანონო (სავეტერინარო ზედამხედველობის უნებართვოდ) დაკვლა ან განზრახ დაშავება და სხვა ბოროტეული მოქმედება, რასაც მოჰყვა ცხენის სიკვდილი თუ გაფუჭება, გამოიწვევს საადმინისტრაციო წესით

ჯარიმას დაკლული, მომკვდარი თუ გაფუჭებული ცხენის ღირებულების ათჯერად რაოდენობამდე იდგილობრივი სახელმწიფო სადამხადებლო ფასების მიხედვით; ჯარიმას დაადებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

იგივე მოქმედება, აგრეთვე საამისოდ წაქეზება, კულაკისა და კერძო მესყიდველის მიერ ჩადენილი, გამოიწვევს:

საადმინისტრაციო წესით—

ჯარიმას იმავე რაოდენობით მთელი მისი კუთვნილი ოთხფეხი საქონლის ან ამ საქონლის ნაწილის კონსფისკაციით ან უამისოდ— სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისამებრ—

და ამის გარდა—სასამართლო წესით—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე უწყებელი ადგილიდან გამოუსახლებით ან გამოუსახლებლად“.

„136³. განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო) ცხენის უკანონო (სავეტერინარო ზედამხედველობის უნებართვოდ) დაკვლა ან განზრახ დაშავება და სხვა ბოროტეული მოქმედება, ~~რასაც~~ მოჰყვა ცხენის სიკვდილი თუ გაფუჭება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე“.

„136⁴. დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობა ცხენისადმი, განსაკუთრებით მაკე ცხენისადმი (რომლის ექსპლოატაციაც შეიძლება მხოლოდ ზოო-ვეტერინარული პერსონალის ნებართვით და მის მიერ, დაწესებული ნორმების მიხედვით) განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური დაწესებულება და საწარმო), უკეთუ ასეთ მოპყრობას მოჰყვა ცხენის სიკვდილი ან გაფუჭება, გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას ექვს თვემდე.

უკეთუ ასეთს მოპყრობას ცხენებისადმი სისტემატიური ხასიათი აქვს ან მას მოჰყვა ცხენთა თვალსაჩინო რიცხვის დაღუპვა,—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

უკეთუ დაუდევარ მოპყრობას ცხენებისადმი ზემოაღნიშნული შედეგი არ მოჰყვა—

დისციპლინარულ გადასახდელს შინაგანრიგების წესების მიხედვით და ფულის დაქერას მომქმედი კანონის თანახმად“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მაგლობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. თებერვლის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 62 №-ში 1932 წ. მარტის 15.

83. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხლების და-
მატების შესახებ.

„ცხენების დაკვლის აკრძალვის და ცხენების უკანონო დაკვლისა და დაუ-
ზოგველი ექსპლოატაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული
სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა
საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 7-ის დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1931 წ. № 71,
მუხ. 474; სსრკ ცენტრ. აღმ. კ-ტის „იზვესტია“-ს 1931 წ. 340 №-ი) და „ხა-
რისა და კამეჩის დაკვლის შესახებ“ დღევანდელი რიცხვით მიღებული სრუ-
ლიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართ-
ველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად (სსრკ
კან. კრ. № 11, მუხ. 74) აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მო-
წვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარ-
ტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ
(საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ. 1-ლი № ი, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენ-
ტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომი-
სართა საბჭო ადგენენ:

I.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136¹-ა, 136¹-ბ და 136¹-გ მუხ-
ლები შემდეგი შინაარსისა:

„136¹-ა. ინდივიდუალური მეურნეობის კუთვნილი ცხენისა, ხარისა და კა-
მეჩის უკანონო (სავეტერინარო ზედამხედველობის უნებართვოდ) დაკვლა ან გან-
ზრახ დაშავება და სხვა ბოროტული მოქმედება, რასაც მოჰყვა ამ ცხოველთა
გაწყდომა თუ გაფუჭება, გამოიწვევს სააღმინისტრაციო წესით

ჯარიმას დაკლული, მომკვდარი თუ გაფუჭებული ცხოველის ღირე-
ბულების ათჯერად რაოდენობამდე ადგილობრივი სახელმწიფო სადა-
მზადებლო ფასების მიხედვით; ჯარიმას დაადებს სარაიონო აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

იგივე მოქმედება, აგრეთვე საამისოდ წაქეზება, კულაკისა და კერძო შე-
მსყიდველის მიერ ჩადენილი, გამოიწვევს:

სააღმინისტრაციო წესით—

ჯარიმას იმავე რაოდენობით მთელი მისი კუთვნილი ოთხფეხი საქონ-
ლის ან ამ საქონლის ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ—სარაი-
ონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა-
მებრ—

და ამის გარდა—სასამართლო წესით—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე უწყებულო ადგილიდან გამო-
სახლებით ან გამოუსახლებლად“.

„136¹-ბ. განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, სა-
ბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო)

ცხენისა, ხარისა და კამეჩის უკანონო (სავეტერინარო ზედამხედველობის ბარათთა) დაკვლა ან განზრახ დაშავება და სხვა ბოროტეული მოქმედება, რასაც მოჰყვება ამ ცხოველთა გაწყდომა თუ გაფუჭება, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე“.

„136¹-გ. დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობა ცხენისადმი, ხარისადმი და კამეჩისადმი, განსაკუთრებით მაკესადმი (რომლის ექსპლოატაციაც შეიძლება მხოლოდ ზოო-ვეტერინარული პერსონალის ნებართვით და მის მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით) განსაზოგადოებულ სექტორში (კოლექტიური მეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამანქანო-საცხენო სადგური, დაწესებულება და საწარმო), უკეთუ ასეთ მოპყრობას მოჰყვება ამ ცხოველთა გაწყდომა ან გაფუჭება, გამოიწვევს

იძულებითს მუშაობას ექვს თვემდე.

უკეთუ ასეთ მოპყრობას ცხენებისადმი, ხარებისადმი და კამეჩებისადმი სისტემატიური ხასიათი აქვს ან მას მოჰყვება ამ ცხოველთა თვალსაჩინო რიცხვის დაღუპვა,—

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

უკეთუ დაუდევარ მოპყრობას ამ ცხოველებისადმი ზემოაღნიშნული შედეგი არ მოჰყვება,—

დისციპლინარულ გადასახდელს შინაგანრიგების წესების მიხედვით და ფულის დაპყრას მოქმედი კანონის თანახმად“.

II.

გაუქმებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. თებერვლის 13-ის დადგენილება „სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136², 136³ და 136⁴ მუხლების დამატების შესახებ“ (სსრ კან. კრ. 1932 წ. № 11, მუხ. 82; გაზ. „კომუნისტი“ 1932 წ. მარტის 15-ის, № 62).

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი ს. თოდრია.

1932 წ. მარტის 23.

ტფილისი.

84. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 136⁴ მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №, მუხ.

7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 136¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„136¹. ბაზმის კონტრაქტაციის დროს ნათესის რაოდენობის შესახებ ტყუილი ცნობების მიცემა გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 96 №-ში 1932 წ. აპრილის 24.

85. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 200¹ მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 200¹ მუხლი (სსრ კან. კრ. 1930 წ. № 15, მუხ. 234) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„200¹. ოთხთეხი საქონლის ფარულად დაკვლა, ან გაყიდვის მიზნით სასაკლავოს გარეშე საქონლის დაკვლა, ხოლო, უკეთეს უწყებულ ადგილას სასაკლავო არ მოიპოვება, საქონლის დაკვლა სავეტერინარო და სასანიტარო-საჰიგიენო ზედამხედველობის წესების დარღვევით, აგრეთვე ასევე დაკლული საქონლის პროდუქტების ვაჭრობა გამოიწვევს

პირველად—

ჯარიმას არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის ათჯერადი ღირებულებისა, მტკიცე დასამზადებელი ფასების მიხედვით, დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის კონფისკაციით; ეს გადასახდელი დაიდება საადმინისტრაციო წესით;

მეორედ—

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებითს მუშაობას ერთ წლამდე—ორსავე შემთხვევაში ჯარიმით არა უმეტეს დაკლული საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის ათჯერადი ღირ-

რებულებისა, მტკიცე დასამზადებელი ფასების მიხედვით; დასავლეთი საქონლის პროდუქტის და დასაკლავად განმზადებული საქონლის კონფისკაციით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტაოროშელიძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

86. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებისათვის მე-8 მუხლის მეორე ნაწილისა და მე-14 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სახელმწიფო პროკურატურის დებულებას (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-9 №-ი, მუხ. 72 და მე-16 №-ი, მუხ. 253; 1931 წ. მე-12 №-ი, მუხ. 148) დაემატოს მე-3 მუხლის მეორე ნაწილი და მე-19 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„3. (ნაწ. 2). რესპუბლიკის პროკურატურის სამმართველოსთან განწყობული ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურორის თანაშემწე, რომელსაც საქართველოს სსრ პროკურატურის შედგენილობიდან გამოჰყოფს საქართველოს სსრ პროკურორი“.

„19. საქართველოს სსრ პროკურატურისა და ა/კსფსრ-ის პროკურატურის ურთიერთობა განისაზღვრება ამ უკანასკნელის დებულებით (ა/კსფსრ პროკურატურის დებულების მე-8 მუხლის „დ“ პუნქტის შენიშვნა, მე-10 მუხლის „დ“, „ე“, „ზ“, „თ“, „ი“, „ი“, „ლ“, „მ“, „ნ“ და „ო“ პუნქტები, 15, 22, 24, 25 მუხლები, 28 მუხლის მე-2 ნაწილი, 29 და 33 მუხლი)“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. მ. ტაოროშელიძე.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. გ. შაბანოვი.

1932 წ. აპრილის 13.

ტფილისი.